ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11561/01
25/11/2019

11561-01-2-201911251429

შპს „სანიტარს“

მის: ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი N4

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 22 აგვისტოს N12116 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ სახიფათო ნარჩენების განთავსების (სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი სკოპინგის დოკუმენტაცია მოიცავს რიგ ხარვეზებს, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი, შერჩეული საპროექტო ტერიტორია არ არის გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დასაბუთებული (მათ შორის კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით). ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილული არ არის სახიფათო ნარჩენების განთავსების სხვა ტერიტორიული ალტერნატივები;
- საპროექტო ტერიტორიის, მისი მიმდებარე ობიექტების და მათ მიმართ დაცილების მანძილების განხილვისას, დოკუმენტში მოცემული არ არის ინფორმაცია სოფ. ახალი სამგორის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღის, სასმელი წყლის რეზერვუარისა და სამელიორაციო არხის შესახებ, აგრეთვე აღნიშნულ ობიექტებზე პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ;
- „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N421 დადგენილება ითვალისწინებს ნაგავსაყრელის უჯრედებად და სექციებად დაყოფას. სკოპინგის ანგარიშში გამოყენებული ტერმინები, კერძოდ „ბუნკერი“, „ორმო“, „ნაგავსაყრელი ორმო“, „საინვენტარიზაციო უწყისი“ გაუგებარია და შესაბამისად სრულად გადამუშავებას საჭიროებს აღნიშნული სკოპინგის დოკუმენტში გამოყენებული ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ნაგავსაყრელი უჯრედების ზოგადი და საპროექტო მოცულობა, სექციებისა და უჯრედების მოწყობისა და ოპერირებისას მათი გამოყენების სავარაუდო თანმიმდევრობა და ნუმერაცია;
- დოკუმენტაციაში არ არის ინფორმაცია სახიფათო ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლის შესახებ;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის ინფორმაცია ნარჩენების დროებითი განთავსების ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების დაყოვნების შესახებ (რა ტიპის ნარჩენის განთავსება იგეგმება და რა ვადით);
- „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N421 დადგენილების (2015 წლის 11 აგვისტო) მე-7 მუხლის თანახმად, ნაგავსაყრელზე დასაშვებია მხოლოდ დამუშავებული ნარჩენების განთავსება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილი ნარჩენების დამუშავების საკითხი და არ არის ინფორმაცია მოცემული ნარჩენების დამუშავების მეთოდის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში გადმოტანილია „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები და არ არის ინფორმაცია მოცემული პროექტის ფარგლებში აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია მხოლოდ ძლიერ ტოქსიკური და ნაკლებად ტოქსიკური სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი უჯრედების მოწყობა, მაშინ როცა სკოპინგის ანგარიშის 21-ე გვერდზე ტოქსიკურობის გარდა სხვა სახიფათოობის მახასიათებლის ნარჩენების მიღებაა გათვალისწინებული;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციაში არ არის განხილული კონკრეტული საქმიანობის აღწერა (მოწყობა და ექსპლუატაცია) და საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ღონისძიებები, არამედ მოიცავს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და ტექნიკური რეგამენტიდან ამოღებულ ციტატებს;

ამასთან, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ზემოქმედების ნაწილში არ არის განხილული:

- გაფრქვევის ყველა შესაძლო წყარო (მათ შორის გაფრქვევები საპროექტო ნაგავსაყრელებიდან);
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევები საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ინსინერატორიდან;
- ტერიტორიაზე შემოტანილი ნარჩენების ოპერირების მეთოდები (ტრანსპორტირება, დროებითი დასაწყობება და სხვა).

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, საქმიანობასთან დაკავშირებული სკოპინგის ანგარიში საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 13 სექტემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით სოფ. ახალი სამგორის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში ჩატარდა დაგეგმილი პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ როგორც სამინისტროს, შპს „სანიტარის“, საკონსულტაციო კომპანია „ეკოლცენტრის“ და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ისე სოფ. ახალი სამგორის მოსახლეობა. საჯარო განხილვის სხდომაზე მოსახლეობამ შპს „სანიტარის“ წარმომადგენლებს ტერიტორიის ალტერნატივად შესთავაზა სოფლიდან რამდენიმე კმ-ის მოშორებით არსებული ყამირი მიწები. აღნიშნულის გათვალისწინებით, განახლებული სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ტერიტორიული ალტერნატივების ნაწილში აგრეთვე შეფასებული უნდა იყოს მოსახლეობის მხრიდან შეთავაზებული ტერიტორიების განხილვის საკითხი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს N14408 წერილით სამინისტროში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მაჟორიტარი დეპუტატის და სოფლის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სოფელში არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ისინი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან შპს „სანიტარის“ მიერ დაგეგმილი სახიფათო ნარჩენების განთავსების (სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა) პროექტის განხორციელების. სამინისტროში შემოსულ წერილს აგრეთვე თან ერთვის მოსახლეობის ხელმოწერები (369 ხელმოწერა). აღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიში აუცილებელია მომზადდეს სამინისტროში მოსახლეობის მხრიდან წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით. ამასთან შპს „სანიტარმა“ უნდა უზრუნველყოს სოფ. ახალი სამგორის მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. განახლებული სკოპინგის ანგარიში სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული შეხვედრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას შპს „სანიტარის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ ახალი სამგორის მიმდებარდ სახიფათო ნარჩენების განთავსების (სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობა და ექსპლუატაცია) პროექტის სკოპინგის განცხადებაზე გასცეს სკოპინგის დასკვნა.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც შპს „სანიტარი“კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გადამუშავებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

დანართის სახით გიგზავნით გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. ახალი სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი გელა მიგრიაულის და მოსახლეობის ერთობლივ განცხადებას.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე